

არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისია საქართველოს 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები

არჩევნების შეფასების ანგარიში

1 სექტემბერი - 5 ნოემბერი, 2021

შეჯამება

2021 წლის ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები საქართველოში 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდგომ შექმნილი ხანგრძლივი პოლიტიკური ჩიხის კონტექსტში გაიმართა. ბევრი ამ პროცესს ქვეყნის დემოკრატიული ორიენტაციის ლაკმუსის ტესტად განიხილავდა. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, როგორც წესი, მოქალაქეები ადგილობრივ საჭიროებებსა და მმართველობაზე ფოკუსირდებიან, გასულ წელს განვითარებულმა მოვლენებმა, მათ შორის მმართველი პარტიის მიერ ხმების 43 პროცენტზე ნაკლების მიღების შემთხვევაში ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების გამოცხადების პერსპექტივამ, პოლიტიკური ფსონები ყველა მხარისთვის გაზარდა. როგორც საერთაშორისო დამკვირვებელთა ჯგუფებმა აღნიშნეს, მიუხედავად იმისა, რომ არჩევნები კონკურენტული და ზოგადად კარგად ადმინისტრირებული იყო, საარჩევნო გარემოს ღრმა ხარვეზებმა პროცესზე უარყოფითი გავლენა მოახდინა. შედეგად, პოლარიზაციის შემცირებისა და პოლიტიკური პროცესის მიმართ ფართო საზოგადოებრივი ნდობის გაზრდის შესაძლებლობა ხელიდან იქნა გაშვებული.

საქართველოს მოქალაქეებმა, საარჩევნო კომისიის წევრებმა და ადგილობრივმა მიუკერძოებელმა სადამკვირვებლო ორგანიზაციებმა აჩვენეს თავიანთი მტკიცე გადაწყვეტილება, უზრუნველყონ საქართველოს უწყვეტი დემოკრატიული პროგრესი. ასევე აღსანიშნავია გარკვეული გაუმჯობესება საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობის

მიმართულებით. თუმცა ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების, ხმების მოსყიდვისა და ამომრჩევლებსა, კანდიდატებსა და ჟურნალისტებზე ზეწოლისა და მათი დაშინების შესახებ ფართოდ გავრცელებულმა ბრალდებებმა პროცესი დააზიანა. უხეშმა რიტორიკამ და შეურაცხმყოფელმა განცხადებებმა მხოლოდ გააღრმავა ისედაც პოლარიზებული პოლიტიკური პროცესები, ხოლო ეროვნული დონის საკითხებზე ფოკუსირებამ ადგილობრივი დონის საჭიროებები დაჩრდილა. ისევე როგორც წინა წლებში, პარტიული რესურსების დისბალანსმა, კამპანიების დაფინანსების არასაკმარის ზედამხედველობასთან და მმართველი პარტიის თანამდებობრივი უფლებამოსილების უპირატესობებთან ერთად, ხელი შეუწყო არათანაბარ პოლიტიკურ ველს. გაფართოებული პოლიტიკური წარმომადგენლობის, გაზრდილი გამჭვირვალობისა და საჩივრების წარდგენის პროცესის გაუმჯობესების მიუხედავად, ჩართული მხარეები საარჩევნო ადმინისტრაციას დაბალ ნდობას უცხადებდნენ. ეს ზომები ოპოზიციური პარტიების ნდობის მოსაპოვებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, განსაკუთრებით საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით არჩეული წევრების პოლიტიკური ნეიტრალიტეტის საკითხთან მიმართებაში. პოლარიზებული და პოლიტიზებული მედია გარემო ამომრჩეველს ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას უზღუდავდა. მედიაზე და სამოქალაქო საზოგადოებაზე გავრცელებულმა თავდასხმებმა არჩევნების პირველი და მეორე ტურის დღეებში და მათი თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობის შეზღუდვის მცდელობამ მთლიან პროცესზე უარყოფითად იმოქმედა. მეტწილად სავალდებულო გენდერული კვოტების განხორციელების ხარჯზე მიღწეული პროგრესის მიუხედავად, ქალებისა და უმცირესობების, ისევე როგორც სხვა ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა კვლავ გამოწვევად რჩება.

არჩევნებამდე, არჩევნების დროს და შემდგომ პოლიტიკური აქტორების გარკვეული ქმედებები დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესებისადმი საზოგადოების ნდობას კიდევ უფრო ამცირებს. საზოგადოების სკეპტიციზმზე პასუხისმგებლობა სრულიად პოლიტიკურ სპექტრს ეკისრება, რადგან, როგორც ჩანს, საზოგადოების საჭიროებები პარტიულ ინტერესებს შეეწირა. უაღრესად მნიშვნელოვანია, რომ არჩეულმა წარმომადგენლებმა არჩევნებს შორის პერიოდში თავიანთი პასუხისმგებლობა შეასრულონ და ამომრჩეველთა ინტერესები გაატარონ. საჯარო თანამდებობის პირებს ინკლუზიური და პლურალისტური პრინციპებით მოქმედების ვალდებულება ეკისრებათ. ეს ანგარიშვალდებული მმართველობისთვის აუცილებელი ნაწილია, რაც ადამიანების ცხოვრების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. საჭიროა კეთილსინდისიერი ძალისხმევის გამოჩენა, პოლიტიკური განხეთქილების გადალახვა და შიდა პოლიტიკური რეფლექსია, რათა მომდევნო საარჩევნო ციკლის წინ დემოკრატიული პოლიტიკური პროცესების მიმართ საზოგადოების მაღალი ნდობა იქნას უზრუნველყოფილი.

რეკომენდაციები:

საერთაშორისო თანამშრომლობის სულისკვეთებით, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI, ან ინსტიტუტი) ქართულ მხარეებს შემდგომ რეკომენდაციებს სთავაზობს და მათ განხორციელებაში მხარდაჭერის მზადყოფნას გამოთქვამს:

არჩევნების შემდგომ პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა ჰიპერ-პოლარიზაციის შემცირებისთვის აქტიური ძალისხმევა უნდა გაიღონ და ინკლუზიურ და მოსახლეობის საჭიროებებზე ორიენტირებულ საკანონმდებლო და მმართველობით პროცესებში ჩაერთონ.

უნდა შეიქმნას ანგარიშვალდებულების მექანიზმები იმისთვის, რომ სახელისუფლებო ორგანოებმა არჩევნების პერიოდში მიუკერძოებლობა გამოიჩინონ და ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება აღკვეთონ. ხოლო სამართალდამცავმა უწყებებმა უნდა გამოიძიონ ამომრჩევლისა და კანდიდატის დაშინებისა და შევიწროების სავარაუდო ფაქტები.

ფართო საჯარო შეხვედრებისა და პოლიტიკური შეთანხმებების საფუძველზე, მომავალ არჩევნებამდე საკანონმდებლო ბაზა სრულყოფილად უნდა გადაიხედოს.

ყველა ჩართულმა მხარემ უნდა გააგრძელოს და გააძლიეროს მუშაობა უფრო ინკლუზიური საარჩევნო და პოლიტიკური პროცესების შექმნის მიმართულებით, რათა საქართველოს ყველა მოქალაქის თანაბარი შესაძლებლობები და წარმომადგენლობა უზრუნველყოს.

კამპანიის დაფინანსების გამჭვირვალობისა და ზედამხედველობის გასაზრდელად, სახელმწიფო უწყება პასუხისმგებელი უნდა იყოს პოლიტიკური კამპანიების დაფინანსების წესების ყველა შესაძლო დარღვევის, მათ შორის პოტენციური უკანონო შემოსავლების, არადეკლარირებული ხარჯებისა და მესამე მხარის ხარჯების, სისტემატურად გადამოწმებაზე. ფინანსური ანგარიშგების ანალიზი დროულად უნდა ჩატარდეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს.

პროკურატურამ ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები გულდასმით უნდა გამოიძიოს და დამნაშავეები დროულად დასაჯოს. დღის წესრიგში უნდა დადგეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებების შეტანა, რათა ჟურნალისტურ საქმიანობაში ჩარევისა და მათ მიმართ ძალადობის დეფინიცია უფრო ზუსტად განისაზღვროს ან გაფართოვდეს.

ამომრჩევლის ინფორმირებული არჩევანის უზრუნველყოფის მიზნით, არჩევნების პერიოდში მოქმედი მედია რეგულაციები და პრაქტიკა საფუძვლიანად და ფართოდ უნდა გადაიხედოს, რათა გადაიჭრას გამოვლენილი პრობლემები, მათ შორის ისეთი საკითხები, როგორიცაა ჟურნალისტებზე ძალადობა, მედიის მიერ არჩევნების გაშუქება, საარჩევნო სუბიექტების წვდომა მედიაზე და კანდიდატთა დებატები. წინასაარჩევნო პერიოდში სიტყვის თავისუფლების რეგულირების მცდელობები სახიფათო პრეცედენტს ქმნის და თავიდან უნდა იქნას აცილებული.

ეროვნულმა მაუწყებლებმა და სხვა მედია საშუალებებმა წინასაარჩევნო კამპანიის დროს ყველა საარჩევნო სუბიექტის მიუკერძოებლად გაშუქება უნდა უზრუნველყონ. ამასთან, კანდიდატები ეროვნული და რეგიონული მედია საშუალებებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყვნენ და მონაწილეობა მიიღონ დებატებში, რათა ამომრჩეველს ინფორმირებული არჩევანის გაკეთებაში დაეხმარონ.

პოლიტიკურმა პარტიებმა არჩევნებს შორის პერიოდში მოქალაქეები აქტიურად უნდა ჩართონ. პარტიებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ინკლუზიური კამპანიების გზით მათი პლატფორმები და პრიორიტეტები მოსახლეობის საჭიროებებს ასახავდეს. პოლიტიკურმა პარტიებმა თავიანთი პოლიტიკური პროგრამები და პლატფორმები საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი საკითხების ირგვლივ უნდა განავითარონ. ამასთან, მათ ამომრჩევლებს პრობლემების მოგვარების მკაფიო გზები უნდა შესთავაზონ.

ინკლუზიურობისა და ადგილობრივი დონეზე მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით, პოლიტიკურმა პარტიებმა კანდიდატების შერჩევისა და წარდგენის პროცესში მკაფიო და გამჭვირვალე კრიტერიუმები უნდა შეიმუშაონ.

ადრე გაცემული რეკომენდაციის მსგავსად, NDI მიიჩნევს, რომ ყველა დაინტერესებულმა მხარემ პატივი უნდა სცეს ადგილობრივი დამკვირვებლების ჭეშმარიტი და მიუკერძოებელი დაკვირვების მიზანს. სამოქალაქო სექტორს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია თავისი როლის შესრულება, თუ იგი არჩევნების შემდგომი პერიოდისა და მომავალი საარჩევნო ციკლების განმავლობაში ხელისუფლებისა და სხვა პოლიტიკური აქტორების მხრიდან არასათანადო გავლენისა და ზეწოლისგან თავისუფალი დარჩება. თავის მხრივ, ყველა მიუკერძოებელმა სადამკვირვებლო ორგანიზაციამ, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და მედიამ თავისი საქმიანობა იმგვარად უნდა განაგრძონ, რომ ის დაფუძნებული იყოს მტკიცებულებებზე და პოლიტიკურად მიუკერძოებელ ანალიზზე, ასევე საარჩევნო ადმინისტრაციისა და ხელისუფლების მაღალ ჩართულობასა და საზოგადოებასთან კომუნიკაციაზე. ასეთი მიდგომა საქართველოს საარჩევნო და პოლიტიკური პროცესებისადმი ნდობას გააძლიერებს.

შესავალი

აგვისტოს ბოლოს NDI-მ 2021 წლის 2 ოქტომბრის საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის მრავალკომპონენტიანი საარჩევნო პროგრამა დაიწყო. ამ პროგრამის ფარგლებში ინსტიტუტმა ჩამოიყვანა ოთხი საერთაშორისო ექსპერტით დაკომპლექტებული გუნდი, რომელიც საარჩევნო პროცესებს 2021 წლის 1 სექტემბრიდან 5 ნოემბრამდე ადევნებდა თვალს. არჩევნების შეფასების მცირე ზომის გრძელვადიანი მისია არჩევნებთან დაკავშირებულ რამდენიმე საკვანძო საკითხს შეისწავლიდა, მათ შორის: საარჩევნო კამპანიის პროცესი, საარჩევნო ადმინისტრაცია, მედია და საინფორმაციო გარემო და გენდერისა და ინკლუზიის საკითხები. სამუშაო პროცესის განმავლობაში ანალიტიკოსებმა საარჩევნო პროცესებში ჩართულ მხარეებთან ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე, მათ შორის პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებთან, კანდიდატებთან, საარჩევნო და ხელისუფლების წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან, საერთაშორისო და ადგილობრივ დამკვირვებლებთან, დიპლომატიური საზოგადოების წევრებთან და მედიის წარმომადგენლებთან 200-ზე მეტი ონლაინ და პირისპირ შეხვედრა და ინტერვიუ ჩაატარეს.

წინასაარჩევნო პერიოდში გაჭიანურებულმა პოლიტიკურმა კრიზისმა და სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიაზე სამთავრობო აქტორების მხრიდან თავდასხმებმა ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში კითხვები გააჩინა იმის თაობაზე, თუ რა იყო საქართველოს მთავრობისა და ოპოზიციური პარტიების ლიდერებისთვის უფრო პრიორიტეტული: დემოკრატიული და ევრო-ატლანტიკური კურსის მიმართ ერთგულება თუ ვიწრო პოლიტიკური ინტერესები. ადგილობრივმა ჩართულმა მხარეებმა საარჩევნო რეგულაციების სუსტი ან შერჩევითი აღსრულების, ასევე სახელმწიფო რესურსების და პროკურატურის უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების გამო შეშფოთება გამოთქვეს. 5 ივლისის ძალადობრივი მოვლენების შემდეგ, ასევე, გაიზარდა შეშფოთება სამოქალაქო საზოგადოებისა და მედიის თავისუფლად მოქმედებისა და სხვადასხვა მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობების შესახებ. დამატებით, გავრცელდა ბრალდებები ოპოზიციური პარტიების წევრებისა და კანდიდატების შევიწროებისა და დაშინების შესახებ. ივლისის ბოლოს ქართულმა ოცნებამ დატოვა ევროკავშირის შუამავლობით შექმნილი შარლ მიშელის (ან 19 აპრილის) შეთანხმება საარჩევნო და სასამართლო რეფორმის შესახებ, რომელიც ასევე ითვალისწინებდა 2022 წელს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას, თუ ქართული ოცნება შედეგი თვითმმართველობის არჩევნებში 43 პროცენტს ვერ მიაღწევდა. ოთხ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა თავს იკავებდა შეთანხმების ხელმოწერისგან და აცხადებდა, რომ 2019 წლის ივნისში საქართველოს პარლამენტში რუსი დეპუტატის ყოფნის წინააღმდეგ გამართული აქციების შემდეგ დაკავებული მსჯავრდებულთათვის ამნისტიის დებულებებს არ ეთანხმებოდა. ქართული ოცნება შეთანხმების დატოვებას იმით ამართლებდა, რომ სხვა ოპოზიციური ძალები თავს იკავებდნენ შეთანხმების ხელმოწერისგან. მმართველი

პარტია ადანაშაულებდა ოპოზიციას, განსაკუთრებით კი ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, რომელსაც ,,ხელოვნური პოლიტიკური კრიზისის შექმნაში", სხვა პარტიებს კი შეთანხმების ,,მუდმივად დარღვევაში" სდებდა ბრალს. 2 სექტემბერს ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ ამ დოკუმენტს ხელი მოაწერა და აღნიშნული შეთანხმება გამოიყენა, როგორც კამპანიის მთავარი მესიჯი.

კანონმდებლობა

ზოგადად, საქართველოს საკანონმდებლო ბაზა დემოკრატიული არჩევნების ჩატარების საფუძველს იძლევა, თუმცა რჩება გარკვეული გამოწვევები. 64 მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერის არჩევნები, უპირველეს ყოვლისა, საარჩევნო კოდექსით რეგულირდება, რომელშიც 2021 წლის ივნისში 19 აპრილის შეთანხმების შემდეგ რიგი ცვლილებები შევიდა. ცვლილებები შეეხო საარჩევნო სისტემას, კერძოდ, პროპორციული სიით არჩეულ საკრებულოს წევრთა რაოდენობა 970-დან 1404-მდე გაიზარდა, ხოლო მაჟორიტარული სისტემით არჩეულ წევრთა რაოდენობა 1088-დან 664-მდე შემცირდა. მაჟორიტარობის კანდიდატებისთვის ბარიერი 40 პროცენტს შეადგენდა, პროპორციული სიების ბარიერი კი ქვეყნის მასშტაბით ოთხიდან სამ პროცენტამდე, ხოლო თბილისში 2,5 პროცენტამდე შემცირდა. ცვლილებებმა საარჩევნო კომისიის წევრების დანიშვნის ახალი წესებიც განსაზღვრა, ასევე ხელი შეუწყო დავის გადაწყვეტის მექანიზმებისადმი ეფექტურ წვდომას, აკრძალა ამომრჩევლებისთვის თვალყურის დევნება საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე და შემოიღო სავალდებულო წესით საარჩევნო უბნების შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადათვლა.

ცვლილებები ფართო პოლიტიკური კონსენსუსის შედეგად იქნა მიღებული და ზოგადად დადებითად შეფასდა. თუმცა ჩართული მხარეები საუბრობდნენ პოლიტიკური ნების მნიშვნელობაზეც კანონის სამართლიანი და მიუკერძოებელი აღსრულების უზრუნველსაყოფად, ასევე ამ პროცესზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების მიმართ ნდობის ნაკლებობაზე. ზოგიერთმა ასევე აღნიშნა, რომ ცვლილებებმა მნიშვნელოვანი საკითხები მოუგვარებელი დატოვა. სხვა საკითხებთან ერთად, ეს ეხება საჩივრების წარდგენის არსებულ შეზღუდვებსა და კამპანიის დაფინანსების ზედამხედველობის არასაკმარის რეგულაციებს. გარდა ამისა, ზოგიერთ მუნიციპალიტეტში სამაჟორიტარო ოლქების ახალმა საზღვრებმა ამომრჩევლების ხმების წონაში დიდი განსხვავება გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ არსებული ტენდენციით საქართველოში ხშირია არჩევნებამდე ცოტა ხნით ადრე საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლა. ამ პრაქტიკის გაგრძელება უარყოფითად აისახება სამართლებრივ სტაბილურობაზე და შეიძლება ზიანი მიაყენოს პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენილ ახალ მოთამაშეებს, რომლებსაც ცვალებად წესებთან ადაპტაციისთვის ნაკლები რესურსები აქვთ.

პოლიტიკური და საარჩევნო კამპანიის გარემო

საარჩევნო პერიოდში ზოგადი პოლიტიკური გარემო პოლარიზებული რიტორიკით და კონკურენტული ნარატივით ხასიათდებოდა, საკითხებზე ორიენტირებულ დისკუსიებს კი მცირე დრო ეთმობოდა. საარჩევნო კამპანიებში ეროვნული საკითხები და საქართველოს პოლიტიკაზე არჩევნების შედეგების შესაძლო ზეგავლენის თემა დომინირებდა. ამ დისკუსიამ გადაფარა ის ადგილობრივი საჭიროებები, რომელიც მერების და საკრებულოების მანდატით არის გათვალისწინებული. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და სხვა ოპოზიციური პარტიები ამომრჩევლების მობილიზებას ადგილობრივი არჩევნების რეფერენდუმად წარმოჩენით შეეცადნენ და საარჩევნო კამპანიის დროს 19 აპრილის შეთანხმების 43 პროცენტიან ბარიერზე ამახვილებდნენ ყურადღებას. მათი მთავარი გზავნილები მოიცავდა მოწოდებას ,,შევცვალოთ კორუმპირებული რეჟიმი". ქართული ოცნება ამტკიცებდა, რომ ოპოზიცია საარჩევნო პროცესის ხელის შეშლითა და სახელმწიფოს პოლიტიკურ კრიზისში შეყვანით იყო დაკავებული. მათი ძირითადი საარჩევნო გზავნილები ხელისუფლების მიღწევებზე და სამომავლო ინვესტიციებსა თუ სოციალური დახმარების პროგრამებზე იყო ორიენტირებული, სადაც, ხშირ შემთხვევაში, პარტიასა და სახელმწიფოს შორის ზღვარი ბუნდოვანი ხდებოდა. დიდმა უთანასწორობამ რესურსების ხელმისაწვდომობაში, მმართველი პარტიის თანამდებობრივი უფლებამოსილების უპირატესობებთან ერთად, არათანაბარი კონკურენციის გარემო შექმნა.

არჩევნებამდე რამდენიმე კვირით ადრე გაჟონილმა ფაილებმა, რომელიც, სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ სამღვდელოების, პოლიტიკოსების, სამოქალაქო საზოგადოების, მედიის წარმომადგენლებისა, უცხოელი დიპლომატებისა და სხვა არაერთი პირის სატელეფონო საუბრების მოსმენებზე მიუთითებს, სახელმწიფო ინსტიტუტების მიუკერძოებლობის მიმართ საჯარო უნდობლობაზე კიდევ უფრო მეტი გავლენა მოახდინა. [სამართლიანი არჩევნების კვლევამ](#) აჩვენა, რომ მოქალაქეების 40 პროცენტზე მეტს საარჩევნო ხმის ფარულობის არ სჯერა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში, ჯამში, 43 პოლიტიკური პარტია და 68 საინიციატივო ჯგუფი მონაწილეობდა, რაც პოლიტიკური გარემოს პლურალიზმზე მიუთითებს. ქართულმა ოცნებამ კანდიდატები ყველა საარჩევნო ოლქში წარადგინა, ხოლო რამდენიმე ოპოზიციური პარტია გარკვეულ ოლქებში საერთო კანდიდატზე შეთანხმდა. მერობის 64 პოზიციაზე მთლიანობაში 239 კანდიდატი იყო წარდგენილი; 2,769 მაჟორიტარი კანდიდატი - 664 მაჟორიტარის მანდატზე საკრებულოებში და 770 პროპორციული სია 20,624 კანდიდატით - 1,404 საკრებულოს წევრის მანდატზე. რიგი ოპოზიციური პარტიები ამტკიცებდნენ, რომ მათმა წარმომადგენლებმა ზეწოლის გამო თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს. პოზიტიურად უნდა შეფასდეს ცესკოს გადაწყვეტილება, შეემცირებინა პარტიული სიების რეგისტრაციიდან მოხსნის წინაპირობები, რათა ცალკეული კანდიდატების მიერ საკუთარი კანდიდატურების გამოწვევის გამო ოლქში დარეგისტრირებული პროპორციული სიების რეგისტრაციიდან მოხსნა აეცილებინა

თავიდან. ცესკოს მონაცემების მიხედვით, 14 პროპორციული სიისა და 600-ზე მეტის პროპორციული სიის კანდიდატის რეგისტრაცია, დამატებით კი 100-ზე მეტი მაჟორიტარობის და სამი მერობის კანდიდატის რეგისტრაცია გაუქმდა. ამათგან არცერთი წარმოადგენდა მმართველ პარტიის კანდიდატს.

2 ოქტომბრის არჩევნების წინ საარჩევნო კამპანიის გარემო ზოგადად მშვიდი იყო, თუმცა რამდენიმე ცალკეული ძალადობრივი ინციდენტი დაფიქსირდა. მთელი საარჩევნო პერიოდის განმავლობაში ოპოზიციური პარტიები ხმების სავარაუდო ფართო მოსყიდვის, დაშინებისა და ადმინისტრაციული რესურსების ბოროტად გამოყენების თაობაზე საუბრობდნენ და კანდიდატებზე, მხარდამჭერებსა და ამომრჩევლებზე ზეწოლაში განსაკუთრებით საქართველოს უსაფრთხოების სამსახურს ადანაშაულებდნენ. ეს შეშფოთების საგანს წარმოადგენს, რადგან საფრთხე ექმნება საქართველოს მოქალაქეების მიერ საარჩევნო პროცესებში თავისუფლად, სამაგიეროს გადახდის შიშის გარეშე მონაწილეობას. ეს ეხება, როგორც არჩევით თანამდებობაზე მოხვედრას, ისე მოქალაქეების მიერ თავიანთი წარმომადგენლების არჩევის საკითხს. ამასთან, აგვისტოში მთავრობამ განაცხადა საჯარო მოხელეებისა და მერებისთვის ხელფასების გაზრდის, ინფრასტრუქტურული და სოციალური მხარდაჭერის ფართომასშტაბიანი პროგრამების შესახებ (მაგალითად, დევნილთა ან სამხედრო პირების საცხოვრებელი სახლებით დაკმაყოფილება). მიუხედავად ამ დაპირების კანონიერებისა, მთავრობამ პარტიასა და სახელმწიფოს შორის მკაფიო ზღვრის გავლება ვერ შეძლო, რამაც, საბოლოოდ, არაჯეროვან ზეგავლენებსა და სახელმწიფო რესურსების ბოროტად გამოყენებაზე შექმნა წარმოდგენები.

ქართული ოცნების მიერ დარღვევების შესახებ გაკეთებული განცხადებები უპირველესად, კამპანიის მასალის - ძირითადად, პლაკატებისა და ბილბორდების - ხელყოფასა და დაზიანებას ეხებოდა. პარტიის წარმომადგენლები ასევე ყურადღებას ამახვილებდნენ ოპოზიციის მხრიდან სავარაუდო პროვოკაციებზე, მათ შორის, აღქმებზე, რომ ოპოზიცია საარჩევნო პროცესების დისკრედიტაციას ცდილობდა და არეულობასა და არჩევნების შედეგების უგულებელყოფას გეგმავდა. ამავდროულად, ქართულმა ოცნებამ რამდენიმე დასკვნა გამოაქვეყნა, სადაც ისინი აკრედიტებულ სადამკვირვებლო ჯგუფებს ოპოზიციასთან კავშირში ადანაშაულებდნენ და მათ საქმიანობას წარმოაჩენდნენ, როგორც არადეკლარირებული საარჩევნო შემოწირულობებს.

პირველი ტურის წინ პარტიებისა და კანდიდატების უმეტესობამ, კორონავირუსის გავრცელებასთან დაკავშირებული საფრთხეების გამო, მათ ხელთ არსებული რესურსების შესაბამისად წინასაარჩევნო კამპანიაში ძირითადად შემდეგი მეთოდები გამოიყენეს: მოსახლეობასთან მცირე და საშუალო ზომის შეხვედრები, კარდაკარ კამპანია, პოსტერებისა და ფლაერების გავრცელება. ნიშანდობლივი ფინანსური უპირატესობის წყალობით, ქართული ოცნება ყველაზე ხილვადი პოლიტიკური ძალა იყო. ეს გამოჩნდა პარტიის ბილბორდებისა და ბანერების რაოდენობაში, ასევე მათ მიერ მოსახლეობასთან რეგულარულ პირისპირ შეხვედრებში ოლქებისა და სოფლების დონეზე და პარტიის ფართო ონლაინ დაფარვაში, განსაკუთრებით ფეისბუქზე. ქართული ოცნების საარჩევნო კამპანიის ღონისძიებები ხშირად გამოირჩეოდა ეროვნული დონის ოფიციალური პირების მონაწილეობით (პრემიერ-მინისტრის,

მინისტრებისა და პარლამენტის წევრების ჩათვლით), რომლებიც ქართული ოცნების ამ ღონისძიებებს სხვადასხვა სამთავრობო პროექტების გამოსაცხადებლად იყენებდნენ და აცხადებდნენ, რომ ეს პროექტები არჩევნებამდე იყო დაგეგმილი. პარტიების უმეტესობამ, გარდა ქართული ოცნებისა აღნიშნა, რომ მათ ტრადიციულ მედიაში სრულმასშტაბიანი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად არასაკმარისი ფინანსური სახსრები ჰქონდათ და უფასო საეთერო დროს ან სოციალურ მედიას იყენებდნენ.

ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის საქართველოში დაბრუნებისა და პირველ ოქტომბერს მისი დაპატიმრების თემები ორივე ტურის პოლიტიკურ დისკუსიებში დომინირებდა. აღნიშნულმა მოვლენებმა ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მხარდამჭერების მობილიზებას შეუწყო ხელი და ფართოდ გავრცელებული აღქმების მიხედვით, გავლენა მოახდინა არჩევნებზე გამოცხადებულ ამომრჩეველთა რაოდენობაზე და არჩევნების შედეგებზე. კერძოდ, არჩევნებში მრავალი პარტიის მონაწილეობის მიუხედავად, მოქალაქეებში გაძლიერდა აღქმა იმის შესახებ, რომ მათ არჩევანი ორ პარტიას შორის უნდა გაეკეთებინათ.

კამპანიის დაფინანსება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა კამპანიის ფინანსური მონიტორინგი პროფესიონალურად განახორციელა, თუმცა არსებული სამართლებრივი ნორმები პოტენციურად სერიოზული ან სისტემური დარღვევების გამოსავლენად არასაკმარისი აღმოჩნდა. გამოწვევად რჩება სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეზღუდული საგამოძიებო მანდატი და არასაკმარისი უფლებამოსილება, გამოავლინოს არადეკლარირებული შემოსავლები და ხარჯები, რაც დიდი ხნის პრობლემას წარმოადგენს და NDI-იმ წინა ანგარიშებშიც ხაზგასმით ახსენა. ბევრმა პოლიტიკურმა პარტიამ და სადამკვირვებლო ორგანიზაციამ წუხილი გამოთქვა იმის თაობაზე, რომ არათანაბარი გარემო უპირატესობას ანიჭებდა მმართველ პარტიას და რომ არსებული სამართლებრივი და ინსტიტუციური ჩარჩო ვერ უზრუნველყოფდა კამპანიის დაფინანსების სათანადო ზედამხედველობას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ფინანსური ანგარიშების ანალიზი არჩევნების დღემდე ცოტა ხნით ადრე გამოაქვეყნა, რაც კანონით გათვალისწინებულ ვადებთან წინააღმდეგობაში არ მოდიოდა, თუმცა კამპანიის ფინანსების გამჭვირვალობა შეზღუდა. აუდიტის სამსახურის 29 სექტემბრის შუალედური ანგარიშის მიხედვით, 2 აგვისტოდან 12 სექტემბრის ჩათვლით პერიოდში საერთო შემოსავლების 64 პროცენტი და ხარჯების 69 პროცენტი ქართულ ოცნებას უკავშირდებოდა. არჩევნების მეორე ტურამდე სხვა დამატებითი ანგარიში არ გამოქვეყნებულა. თავისი სამართლებრივი უფლებამოსილების ფარგლებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა 3 შემთხვევაში ადმინისტრაციული წარმოება დაიწყო, რომელთაგანაც ყველა განხილვის პროცესშია.

საარჩევნო ადმინისტრაცია

სამდონიანი საარჩევნო ადმინისტრაციის - ცენტრალური საარჩევნო კომისიის, 73 საოლქო საარჩევნო კომისიისა და 3600-ზე მეტი საუბნო საარჩევნო კომისიის - შემადგენლობა 12 წევრიდან 17 წევრამდე გაიზარდა, რამაც პოლიტიკური წარმომადგენლობა გაზარდა. კომისიები პროფესიული ნიშნით დანიშნული რვა და პარტიული კვოტით დანიშნული ცხრა წევრისგან შედგება.

არჩევნების ტექნიკური მოსამზადებელი პერიოდი კარგად იყო ორგანიზებული და საარჩევნო ადმინისტრაციამ ყველა სამართლებრივი ვადა დაიცვა. ცესკომ დასაფასებელი ძალისხმევა გაიღო თავისი სამუშაოს გამჭვირვალობის გასაუმჯობესებლად. დადებითად უნდა შეფასდეს ცესკოს სხდომების და საოლქო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრების შესარჩევი გასაუბრებების ონლაინ გაშუქება. წინა წლებში გაცემული რეკომენდაციების საპასუხოდ, რომელიც, მათ შორის, NDI-ის მიერაც იყო გაცემული, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა საჯარო მოხმარების ექსელის ცხრილები, სადაც მოცემული იყო მონაცემები საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე და რომელიც შედეგების ხელახალი გადათვლის საფუძველზე განუწყვეტლივ ახლდებოდა. აღნიშნული ფაილები წინა არჩევნების დროს გამოქვეყნებულ ფორმატებთან შედარებით არჩევნების მონაცემებს უფრო ღიას და ხელმისაწვდომს ხდის. მიუხედავად ამისა, ოპოზიცია მმართველი პარტიის მხრიდან პროფესიული ნიშნით დანიშნულ საარჩევნო კომისიის წევრებზე პირდაპირ კონტროლზე საუბრობდა და საუბნო საარჩევნო კომისიის დონეზე მიუკერძოებელ თანამდებობებზე დანიშვნის არასამართლიან პირობებს აკრიტიკებდა. ცესკოს თავმჯდომარის ახლადდანერგილი, კონსენსუსზე დაფუძნებული პროცედურით დანიშვნის წარუმატებელი მცდელობა და ამის ნაცვლად პოლიტიკური ჩიხის საწინააღმდეგო მექანიზმის გამოყენება, რასაც თავმჯდომარის 6 თვით არჩევა მოჰყვა, ხშირად გამოიყენება იმის მტკიცებულებად, რომ მმართველ პარტიას არ აქვს სურვილი, შექმნას საარჩევნო ადმინისტრაცია, რომელიც ფართო პოლიტიკური მხარდაჭერით ისარგებლებს.

არჩევნების დღე

ადგილობრივი და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციების თანახმად, არჩევნების პირველი ტურის კენჭისყრის დღემ სერიოზული ტექნიკური პრობლემების გარეშე ჩაიარა და პროფესიონალურად იყო ორგანიზებული. თუმცა დამკვირვებლებმა რამდენიმე პროცედურულ გადაცდომასა და დარღვევაზე ისაუბრეს. ასევე დაფიქსირდა რამდენიმე ძალადობრივი ინციდენტი საარჩევნო უბნებზე და მათ მიმდებარედ. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო დროს მიღებულმა საკანონმდებლო ცვლილებებმა საარჩევნო უბნების მიმდებარედ ამომრჩევლის აღრიცხვა აკრძალა, ჩართული მხარეები კენჭისყრის დღეს პარტიული კოორდინატორების მიერ

ამომრჩეველზე ზეწოლის არაერთ სავარაუდო შემთხვევაზე საუბრობდნენ, უმეტესწილად ქართული ოცნების წარმომადგენლების მხრიდან. ისინი ასევე აღნიშნავდნენ, რომ ბევრ საარჩევნო უბანზე ადგილობრივ დამკვირვებლებად რეგისტრირებული პირები ხმის მიცემის და ხმების დათვლის პროცესს აფერხებდნენ. წელს პირველად მოხდა ხმის დათვლის პროცესის ვიდეოჩაწერა 3200 საარჩევნო უბანზე და ჩანაწერების ონლაინ განთავსება. თუმცა, ბევრი ჩანაწერი ვერ იძლეოდა დათვლის პროცესის მკაფიოდ დანახვის საშუალებას, რამაც მათი გამოყენების შესაძლებლობა შეამცირა. ცესკოს ინფორმაციით, პირველი ტურში ამომრჩეველთა აქტივობა 51.92 პროცენტი იყო.

შედეგების შემაჯამებელი ოქმები და გადათვლა

მიუხედავად ინტენსიური ტრენინგებისა, რომლის საჭიროებაც, ნაწილობრივ, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ გამოვლენილი ხარვეზების შედეგად დადგა, საუბნო საარჩევნო კომისიების შემაჯამებელი ოქმები მაინც ბევრ ფორმალურ და არითმეტიკულ შეცდომას და უზუსტობას შეიცავდა. ცესკოს მონაცემებით, პროპორციული ოქმების თითქმის 28 პროცენტის შემთხვევაში ბიულეტენების რაოდენობა ამომრჩევლის სიაში ხელმოწერების რაოდენობისგან განსხვავდებოდა, თუმცა ამ ინციდენტების 96 პროცენტის შემთხვევაში თითოეულ საარჩევნო უბანზე დაფიქსირებული სხვაობა 10 ხმაზე ნაკლებს შეადგენდა. მთლიანობაში, საოლქო საარჩევნო კომისიებმა 812 საარჩევნო უბნის შედეგები გადათვალეს, რაც საერთო რაოდენობის 22 პროცენტი და ასევე უპრეცედენტოდ მაღალი რიცხვია. ეს მაჩვენებელი მოიცავს შემთხვევითი შერჩევით გამოვლენილი 360 საარჩევნო უბნის, საოლქო საარჩევნო კომისიის ინიციატივით ან საჩივრებით გამოვლენილი 194 უბნისა და ცესკოს თავმჯდომარის ინიციატივით პრობლემურად გამოვლენილი 258 უბნის შედეგებს. დაინტერესებული მხარეების დიდი ნაწილი შეთანხმდა, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის მიერ დიდი რაოდენობით უბნების გადათვლის გადაწყვეტილება გამჭვირვალობისკენ გადადგმულ პოზიტიურ ნაბიჯს წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საოლქო კომისიებისთვის დატოვებული მნიშვნელოვანი დისკრეციული უფლებამოსილება ქმნის რისკს, გაიზარდოს ეჭვები იმაზე, რომ საოლქო კომისიებმა ხელახალი დათვლისთვის უბნები არათანმიმდევრულად და დაუსაბუთებლად შეარჩიეს. ზოგ შემთხვევაში, საოლქო კომისიებმა, გავრცელებული ინფორმაციით, ბიულეტენების სრული გადათვლის ნაცვლად მხოლოდ ბათილი ბიულეტენები გადათვალეს. გადათვლის ზუსტი დროის შესახებ დაინტერესებული მხარეების დაგვიანებით ინფორმირებამ, ასევე, პროცესის გამჭვირვალობაზე ნეგატიურად იმოქმედა.

საჩივრები და დავები

ბევრი დაინტერესებული მხარე საარჩევნო ადმინისტრაციის, სასამართლოს, პროკურატურის და პოლიციის მიუკერძოებლობას ეჭვქვეშ აყენებდა, თუმცა უმეტესობისთვის უახლესმა

საკანონმდებლო ცვლილებებმა საჩივრების წარდგენის და დავების განხილვის პროცესი უფრო ხელმისაწვდომი გახადა და მათ საჩივრების ელექტრონულად წარდგენის შესაძლებლობა პირველად მისცა. პროცედურულ საფუძვლებზე საჩივრების დაუშვებლობის პროცენტულმა მაჩვენებელმა წინა არჩევნებთან შედარებით იკლო, თუმცა ეს მაჩვენებელი მაინც მაღალი რჩება. მთლიანობაში, წინასაარჩევნო პერიოდში - 446, არჩევნების პირველი ტურის დროს ან შემდეგ - 1800 და მეორე ტურის დროს ან მის შემდგომ პერიოდში დაახლოებით 500 საჩივარი იქნა წარდგენილი, ჯამში 2967 საჩივარი. საჩივრების დაახლოებით 66 პროცენტი (1958) არ დაკმაყოფილდა, 14.6 პროცენტი (432) ტექნიკური მიზეზების გამო განუხილველად იქნა დატოვებული, ხოლო 9.4 პროცენტი (279) სრულად და თითქმის 8.3 პროცენტი (245) ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. საჩივრების 1.7 პროცენტი (50) უკან იქნა გათხოვილი, ხოლო სამი საჩივარი კი რეაგირებისთვის შესაბამის ორგანოს გადაეგზავნა.

პირველი ტურის შედეგები

16 ოქტომბერს საარჩევნო ადმინისტრაციამ მერობისა და საკრებულოების შედეგები ოფიციალურად შეაჯამა. ქართულმა ოცნებამ ეროვნულ დონეზე პროპორციული ხმების 56.7 პროცენტი, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ 30.7 პროცენტი და პარტიამ გახარია - საქართველოსთვის 7.8 პროცენტი მიიღო. პროპორციულ არჩევნებში სულ 17-მა პარტიამ მოახერხა ბარიერის გადალახვა. ოფიციალური შედეგები დაადასტურა ადგილობრივმა საარჩევნო სადამკვირვებლო ორგანიზაცია სამართლიანმა არჩევნებმა, რომელმაც ხმების პარალელური დათვლის (PVT) მეთოდოლოგია გამოიყენა. პირველ ტურში მაჟორიტარული სისტემით არჩეული წევრების 622 მანდატიდან ქართულმა ოცნებამ 557 მანდატი, ნაციონალურმა მოძრაობამ 53 და სხვებმა 12 მანდატი აიღეს. ქართულმა ოცნებამ მოიგო მერების არჩევნები იმ 44-ვე უბანში, სადაც მეორე ტურის გამართვა არ გახდა საჭირო. მეორე ტური მერობის 20 თვითმმართველ ქალაქსა და თემში და 24 მაჟორიტარულ ოლქში 42 სამაჟორიტარო მანდატისთვის გამოცხადდა. მერების არჩევნების მეორე ტური 20-დან 17 შემთხვევაში ქართულ ოცნებასა და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს შორის გაიმართა, დანარჩენ 3 შემთხვევაში კი ოცნების კანდიდატები გახარია - საქართველოსთვის, თამაზ მეჭიაური - გაერთიანებული საქართველოსთვის და დამოუკიდებელ კანდიდატებს დაუპირისპირდნენ.

მეორე ტურის კამპანიები

არჩევნების მეორე ტურისთვის, როგორც მმართველმა პარტიამ, ასევე ოპოზიციამ განხეთქილების გამომწვევი კამპანიები წარმართა. კამპანიები ძირითადად ერთმანეთის მიმართ შეურაცხყოფებით, ბრალდებებითა და კონკურენტი პარტიების "დასრულების" მოწოდებებით გამოირჩეოდა. სხვადასხვა ხარისხით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ და ქართულმა ოცნებამ მეორე ტური ეროვნული პოლიტიკის პლატფორმებად გამოიყენეს.

პირველი ტურის შემდგომ, მიხეილ სააკაშვილის ციხიდან გათავისუფლების მოთხოვნითა და სხვა ოპოზიციურ პარტიებთან კოალიციური შეთანხმების ხელშეწყობის მიზნით, ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ რამდენიმე ფართომასშტაბიანი აქცია გამართა, მათ შორის, თბილისში, ბათუმსა და ზუგდიდში. პარტია ეროვნულ საკითხებზე საუბარს და რეჟიმის ცვლილების ადვოკატირებას განაგრძობდა, ხშირად უხეში რიტორიკის საშუალებით. თუმცა პარტიამ ასევე წამოაყენა ადგილობრივ საჭიროებებსა და პრობლემებზე მორგებული შემოთავაზებები, მათ შორის, უფასო სასკოლო კვება, პენსიებისა და სტიპენდიების ზრდა და მიწის რეფორმა.

ქართული ოცნების წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში, პრემიერ-მინისტრი, პარტიის თავმჯდომარე და სხვა მაღალჩინოსნები მუნიციპალიტეტებს სტუმრობდნენ. მათ განაგრძეს სხვადასხვა სამთავრობო პროექტებისა და დახმარების პროგრამების წარდგენა, მათ შორის, საჯარო მოხელეებისთვის ხელფასების და ვეტერანებისთვის პენსიების ზრდა, ხოლო სოციალურად დაუცველი პენსიონერებისთვის ვაუჩერების გაცემა. შემაშფოთებელი იყო პრემიერის განცხადება იმის შესახებ, რომ ოპოზიციის მიერ კონტროლირებადი მუნიციპალიტეტები სათანადოდ ვერ იმუშავებდნენ ცენტრალური ხელისუფლების მხარდაჭერის გარეშე და ოპოზიციის კანდიდატებისთვის ხმის მიცემა ადგილობრივ მოსახლეობას ზიანს მიაყენებდა. ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა ეს განცხადება ამომრჩეველთა პირდაპირ დაშინებად აღიქვეს, ხოლო სხვა ჩართულმა მხარეებმა განცხადება დეცენტრალიზაციისა და ადგილობრივი თვითმმართველობის პრინციპების შელახვის გამო გააკრიტიკეს. ქართული ოცნების წარმომადგენლების რიტორიკა ხშირად წამქეზებლური იყო, სააკაშვილს ადარებდნენ ჰიტლერს, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას წარმოსახავდნენ ბოროტებად და ნაციონალური მოძრაობის კანდიდატებს კრიმინალებად და მკვლელებად მოიხსენიებდნენ.

არჩევნების მეორე ტური

არჩევნების მეორე ტური მეტწილად მშვიდობიან გარემოში და განსაკუთრებული პროცედურული დარღვევების გარეშე ჩატარდა, თუმცა პირველ ტურთან შედარებით, საარჩევნო უბნებსა და მათ სიახლოვეს დაპირისპირებების შესახებ მეტი საჩივარი დაიწერა. სადამკვირვებლო ჯგუფები შიშობდნენ, რომ ამომრჩევლებს არ ჰქონდათ ხმის მიცემისთვის თავისუფალი გარემო. ისინი ასევე საუბრობდნენ შესაძლო დარღვევებზე შემდეგი მიმართულებებით: ზეწოლა ამომრჩეველზე, რომ გამოცხადებულიყვნენ ხმის მისაცემად და დასწრებოდნენ პარტიულ ღონისძიებებს; ამომრჩეველთა მოსყიდვის სავარაუდო შემთხვევები; პარტიის კოორდინატორების მიერ უბანზე მოსული ამომრჩევლის პარალელური რეგისტრაცია; ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების სახელით რეგისტრირებული, არაუფლებამოსილი პირების მხრიდან საარჩევნო პროცედურებში ჩარევა; და საარჩევნო

პროცედურების დარღვევის სხვა შემთხვევები. დამკვირვებლები, ისევე როგორც მედიისა და ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები, აცხადებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლას. მათი თქმით, დაფიქსირდა უბნიდან გაძევების, მუქარისა და თავდასხმის რამდენიმე შემთხვევა. მმართველი პარტია და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პროცესებისთვის ხელის შეშლაში ერთმანეთს ადანაშაულებდნენ. 31 ოქტომბერს, წინასწარ მონაცემებთან ერთად, ცესკომ გამოაქვეყნა ამომრჩეველთა აქტივობა - 49.09 პროცენტი, რაც პირველი ტურის აქტივობაზე 3 პროცენტით ნაკლებია. ადგილობრივი სადამკვირვებლო ჯგუფების თანახმად, მათ მიერ გამოვლენილ დარღვევებს, შესაძლოა, საბოლოო შედეგებზე გავლენა მოეხდინათ. ამის დასტურად, სადამკვირვებლო ჯგუფები ზოგიერთ ოლქში კანდიდატების ძალიან მცირე უპირატესობით გამარჯვებაზე მიუთითებენ.

მეორე ტურის შედეგები და ხელახალი დათვლა

ცესკოს შედეგებით ქართულმა ოცნებამ მერის არჩევნებში 20 მუნიციპალიტეტიდან 19 მოიგო, ხოლო წალენჯიხაში ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა გაიმარჯვა. 42 მაჟორიტარული ოლქიდან ქართულმა ოცნებამ 27 ოლქში გაიმარჯვა, ნაციონალურმა მოძრაობამ 7-ში, პარტიამ საქართველოსთვის 6-ში, ხოლო პარტიებმა თავისუფალი საქართველო და ევროპელი სოციალისტები თითო მანდატი მოიპოვეს. მაჟორიტარულ ოლქებში გამართული მეორე ტურის შედეგების მიხედვით, ქართული ოცნება და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ბათუმის, ზუგდიდის, მარტვილის, ჩხოროწყუს, წალენჯიხისა და რუსთავის საკრებულოებში უმრავლესობას დამოუკიდებლად ვერ აკომპლექტებენ. შესაბამისად, ამ პარტიებს მცირე პარტიებთან მმართველი კოალიციის შექმნა მოუწევთ.

31 ოქტომბერს ნაციონალურმა მოძრაობამ არჩევნების შედეგები არ აღიარა. პარტიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ არჩევნები გაყალბდა, რის გამოც საპროტესტო აქციები და საპარლამენტო მანდატების დატოვება დააანონსეს, მაგრამ ასევე პირობა დადეს, რომ საარჩევნო კომისიებისა და სასამართლოების მეშვეობით საჩივრების განხილვის პროცესში მონაწილეობას გააგრძელებდნენ.

1-ელ ნოემბერს საოლქო საარჩევნო კომისიებმა სავალდებულო შემთხვევითი შერჩევის საფუძველზე 201 საუბნო საარჩევნო უბანზე ხმები გადათვალეს. ხუთიდან შვიდამდე გაიზარდა შემთხვევითი გადათვლის ფარგლებში გადათვლილი საუბნო საარჩევნო კომისიების რაოდენობა თითოეულ ოლქში, გარდა მარტვილისა, სადაც კომისიამ ცესკოს თავმჯდომარის რეკომენდაცია უბნების რაოდენობის გაზრდის შესახებ არ გაითვალისწინა. შემდგომში საოლქო საარჩევნო კომისიებმა იმ 300-მდე საუბნო საარჩევნო უბნიდან, რომელშიც ხმების დათვლის ჩანაწერები არ იყო ხელმისაწვდომი, 52 უბანი ასევე შემთხვევითი შერჩევის პრინციპით აარჩიეს და გადათვალეს, ხოლო 6 უბანში ხმები საკუთარი ინიციატივით ხელახლა დათვალეს. ჯამში 274 საუბნო საარჩევნო კომისიაში ხმების ხელახალმა დათვლამ (1830 საარჩევნო უბნიდან) მხოლოდ მცირე ცვლილებები გამოავლინა, რამაც საერთო შედეგებზე გავლენა არ მოახდინა.

ცესკოს მონაცემებით, მეორე ტურში მაჟორიტარი კანდიდატების ხმების 4,78 პროცენტი და მერობის კანდიდატების ხმების 2,96 პროცენტი გაბათილდა. ამ მხრივ, წინა არჩევნებთან შედარებით კლება შეინიშნება. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო საზოგადოებამ შეშფოთება იმის გამო გამოთქვა, რომ ზოგიერთი ბიულეტენი ბათილად არასწორად ან განზრახ იქნა ცნობილი. ოპოზიცია იმ ოლქებში ითხოვდა ბათილი ბიულეტენების გადათვლას, სადაც ამ ბიულეტენების საერთო რაოდენობა კანდიდატებს შორის ხმების სხვაობას აღემატებოდა.

გენდერი და ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა

საარჩევნო პროცესებში ქალების, ეროვნული უმცირესობების, შშმ პირებისა და სხვა ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების ჩართულობა კვლავ არასათანადოა. მაშინ, როდესაც მხარეების უმრავლესობა დადებითად აფასებს საარჩევნო ადმინისტრაციისა და სამოქალაქო სექტორის ძალისხმევას მოაგვაროს ეს საკითხი. ისინი ასევე ხშირად მიუთითებენ პარტიებში არსებულ ბარიერებზე, რომელიც ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების პოლიტიკურ მონაწილეობას უშლის ხელს. ქალთა, შშმ პირთა, ლგბტქი+ და იძულებით გადაადგილებული პირების პოლიტიკური მონაწილეობის ადვოკატირებაზე მომუშავე ჯგუფები აღიარებენ და დადებითად აფასებენ საკანონმდებლო დონეზე მდგომარეობის გაუმჯობესებას, თუმცა უარყოფითად აფასებენ აღსრულების საკითხს, ასევე სავალდებულო გენდერული კვოტის შემცირებას - 2028 წლის არჩევნებამდე თავდაპირველად განსაზღვრული პროპორციულ სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის შეცვლას ყოველ სამეულში განსხვავებული სქესით. დამატებით, ჯგუფები პოლიტიკურ პარტიებს აკრიტიკებენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მარგინალიზებული ჯგუფების ჩართვის არასათანადო მიდგომებისთვისა და პარტიების პლატფორმებში, პროგრამებსა და გზავნილებში ამ ჯგუფების შესახებ არასაკმარისი საუბრისთვის. პოლიტიკურ პარტიებში კანდიდატების შერჩევისა და გადაწყვეტილების მიღების არაფორმალური ხასიათი ჩართულობის მთავარ ბარიერად აღიქმება.

სავალდებულო გენდერულმა კვოტამ, რომელიც პარტიულ სიაში ყოველ სამ კანდიდატში სულ მცირე ერთი ქალის ნომინირებას ითვალისწინებს, ქალთა წარმომადგენლობის გაზრდაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია. ქალები პროპორციული კანდიდატების 42.5 პროცენტს შეადგენდნენ (20,624 კანდიდატიდან 8,767). პროპორციული სისტემით არჩეული კანდიდატების 30 პროცენტზე მეტი ქალია, რაც 2017 წლის შედეგებთან შედარებით მნიშვნელოვანი ზრდაა; მაშინ არჩეული საკრებულოს წევრებიდან მხოლოდ 13 პროცენტი იყო ქალი. პროპორციული სიების 18% პროცენტში (771 სიიდან 141-ში) სიის პირველ ნომრად ქალი იყო დასახელებული. თუმცა პროპორციული სიების მიღმა ქალთა წარმომადგენლობა კვლავ დაბალი იყო. ქალები მერობის კანდიდატების 10 პროცენტს (239-დან 26), ხოლო მაჟორიტარობის კანდიდატების 17 პროცენტს (2769-დან 488) შეადგენდნენ. მერობის 46 დამოუკიდებელი კანდიდატიდან 7 იყო ქალი (12.5 პროცენტი). ახლადარჩეული 64 მერიდან მხოლოდ 3 არის ქალი, ხოლო 664 მაჟორიტარი საკრებულოს წევრიდან - 45.

ქალები ამომრჩევლების 54 პროცენტს შეადგენენ. საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეებზე მათი წარმომადგენლობა მაღალი იყო (ქალები საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა 60 პროცენტზე მეტს შეადგენდნენ), მაშინ, როდესაც ცენტრალური საარჩევნო კომისიის დონეზე - შედარებით ნაკლები (17 წევრიდან მხოლოდ 4 არის ქალი).

ეროვნული უმცირესობები, რომლებიც მოსახლეობის 13 პროცენტს შეადგენენ, პოლიტიკურ ცხოვრებაში კვლავ ნაკლებად არიან წარმოდგენილნი და პარტიების პროგრამებმა და კამპანიებმა ზოგადად ამ საკითხზე სათანადო რეაგირება ვერ მოახდინა. ცესკომ ამომრჩევლებისთვის საჭირო ინფორმაცია, საარჩევნო მასალები და ტრენინგები უმცირესობების ენებზე უზრუნველყო, თუმცა ჩართული მხარეების დიდი ნაწილი საარჩევნო პროცესების თაობაზე ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელი ამომრჩევლების ინფორმირებისთვის გამოყენებულ კომუნიკაციის არხებს აკრიტიკებდა.

მედია გარემო და საინფორმაციო სივრცე

მედია გარემო საქართველოში პლურალიზმითა და მოსაზრებების მრავალფეროვნებით ხასიათდება, მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ლანდშაფტის ღრმა პოლარიზაციას ირეკლავს. არჩევნებში ჩართული მხარეები 2020 წლის შემდეგ მედია გარემოსა და ჟურნალისტების სამუშაო პირობების გაუარესებაზე საუბრობდნენ. ივლისში თბილისი პრაიდის ღონისძიების დროს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ჟურნალისტებზე თავდასხმამ ჟურნალისტების ფიზიკური უსაფრთხოების კუთხით გაზრდილი საფრთხეები გამოააშკარავა. დამატებით, სამოქალაქო აქტივისტები ხელისუფლების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედია გამოცემებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ ონლაინ თავდასხმების გახშირების თაობაზე საუბრობდნენ. სამართლიანი არჩევნების [სოციალური მედიის მონიტორინგის ჯგუფმა](#) ჟურნალისტებზე თავდასხმის შემცველი ათობით ცალკეული ფეისბუქ პოსტი გამოავლინა, რომლებიც ანონიმური ქსელებიდან და ტროლებისგან მომდინარეობდა. მიიჩნევა, რომ ეს თავდასხმები კოორდინირებული და 2020 წელთან შედარებით უფრო მასშტაბური იყო.

დეზინფორმაციის ყველაზე ინტენსიურმა კამპანიამ წინასაარჩევნო პერიოდში იჩინა თავი, განსაკუთრებით ანონიმური ან არაავთენტური ანგარიშებიდან მცდარი, შეცდომაში შემყვანი და მანიპულირებადი შინაარსის შემცველი მასალების ფეისბუქზე განთავსების გზით. კამპანიები უმთავრესად ერთიანი ნაციონალური მოძრაობის, ქართული ოცნების და პარტია საქართველოსთვის პოლიტიკურ ლიდერებს, კანდიდატებს და სხვა აქტორებს მიემართებოდა. არსებული ინფორმაციით, არჩევნების პირველი ტურის დღეს და მის შემდეგ მხოლოდ რამდენიმე მცდარი ან შეცდომაში შემყვანი ონლაინ ისტორია განთავსდა. ამ უკანასკნელ პოსტებს შორის იყო მცდარი ისტორიები იმის თაობაზე, რომ Edison Research და IPSOS ეგზიტპოლები კენჭისყრის დახურვამდე გამოქვეყნდა.

ზოგადად მედია საშუალებებს ჰქონდათ შესაძლებლობა, შიშისა თუ ადგილობრივი ხელისუფლებისა და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენელთა მხრიდან ჩარევის გარეშე ემუშავათ. თუმცა პირველ და მეორე ტურში არჩევნების დღეს - განსაკუთრებით თბილისში, მარტვილში, ფოთსა და ზუგდიდში - კრიტიკულად განწყობილ მედია საშუალებებში მომუშავე რამდენიმე ჟურნალისტს დაუპირისპირდნენ და დააშინეს. დამატებით, მედიის წარმომადგენლები აღნიშნავდნენ ძირითად აქტორებთან და კამპანიურ ღონისძიებებზე წვდომის მოპოვებასთან დაკავშირებულ სირთულეებს, რაც მაუწყებლებს არ აძლევდა დაბალანსებული გაშუქების საშუალებას და ამომრჩევლებს მრავალფეროვან პოლიტიკურ ხედვებზე წვდომას უზღუდავდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პირველი ტურის შემდეგ ქართული ოცნების წარმომადგენელი პარლამენტის 14 წევრისგან შემდგარმა ჯგუფმა შეიმუშავა კანონპროექტი, რომელიც საარჩევნო სუბიექტისა თუ კანდიდატის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებების შექმნისკენ მიმართული წინასაარჩევნო რეკლამის გავრცელებას აკრძალავდა. კანონპროექტი უმთავრესად მაუწყებლობის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანას მოიაზრებდა, რათა მაუწყებლებს და მათ დამკვეთებს ამგვარი შინაარსის მქონე მასალის განთავსებისთვის პასუხისმგებლობა დაჰკისრებოდათ. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა, ოპოზიციურმა პარტიებმა და მაუწყებლებმა ეს ინიციატივა დაგმეს; ეს დოკუმენტი აღქმული იქნა როგორც გამოხატვის თავისუფლებაზე თავდასხმა და ხელისუფლების მიმართ კრიტიკული ხმების ჩახშობის მცდელობა. მიუხედავად იმისა, რომ ნეგატიური კამპანიის შემცირებამ შეიძლება პოლიტიკური დისკურსი გააუმჯობესოს, კამპანიების დროს სიტყვის თავისუფლების რეგულირება სახიფათო პრეცედენტს ქმნის.

დებატები

საქართველოს საზოგადოებრივმა მაუწყებელმა, კანონის შესაბამისად, კანდიდატებს შორის ორი დებატი გამართა. აღსანიშნავია, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატმა, ნიკა მელიამ საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის მიერ მერობის კანდიდატებს შორის ორგანიზებული დებატი დატოვა მას შემდეგ, რაც გააკრიტიკა მისი ფორმატი და უარი თქვა ქართული ოცნების კანდიდატთან და მოქმედ მერთან ერთ სივრცეში ყოფნაზე. მედიის წარმომადგენლები ხშირად აღნიშნავდნენ დებატებსა და თოქ-შოუებში მმართველი პარტიის მონაწილეობაზე დათანხმების სირთულეებზე, რასაც ხშირად სხვა კანდიდატების მხრიდან მონაწილეობაზე უარის თქმა მოჰყვებოდა შედეგად. ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე არჩევნებში მონაწილე მთავარ სუბიექტებს შორის რეალური დებატების ნაკლებობა უარყოფითად აისახა ამომრჩევლების შესაძლებლობაზე, არსებული არჩევანის და სხვადასხვა საკითხებზე კანდიდატების პოზიციების შესახებ არსებითი ინფორმაცია მოეპოვებინათ. მიუხედავად ამისა, რამდენიმე მუნიციპალიტეტში ადგილობრივმა მედია საშუალებებმა და სამოქალაქო ორგანიზაციებმა გამართეს საკითხებზე დაფუძნებული დისკუსიები კანდიდატების

მონაწილეობით, სადაც უმეტესად შეძლეს როგორც მმართველი, ასევე ოპოზიციური პარტიების მონაწილეობის უზრუნველყოფა. დისკუსიების დროს პოლიტიკურმა პარტიებმა წარმოადგინეს თავიანთი ხედვები საზოგადოებრივი მნიშვნელობის მქონე პრობლემების მოგვარების თაობაზე, განსაკუთრებით ნაკლებად წარმოდგენილი ჯგუფების წინაშე არსებული გამოწვევების მიმართულებით, როგორიცაა ქალები, ახალგაზრდები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, ხანდაზმულები და ეთნიკური უმცირესობები.

დამკვირვებლები

ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დამკვირვებლად 100-მდე ადგილობრივი და 52 საერთაშორისო ორგანიზაცია დაარეგისტრირა. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოება საქართველოში მრავალფეროვანია, დიდი ხანია არსებობს ეჭვი, რომ ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების ნაწილი პოლიტიკური პარტიებთან არის აფილირებული. ამან, შესაძლოა, სანდო სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიმართ ნდობა შეარყიოს. რამდენიმე ადგილობრივმა ორგანიზაციამ, მათ შორის საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, სამართლიანმა არჩევნებმა და საერთაშორისო გამჭვირვალობამ წინასაარჩევნო და არჩევნების დღის ყოვლისმომცველი სადამკვირვებლო საქმიანობა განახორციელა და შესაბამისი ანგარიშები გამოაქვეყნა. მმართველმა პარტია ქართულმა ოცნებამ ადგილობრივი დამკვირვებლების მიგნებებისა და დასკვნების დისკრედიტაციისთვის სხვადასხვა განცხადებები გაავრცელა. ბევრი ორგანიზაციისთვის შემაშფოთებელი იყო ქართული ოცნების მიერ, მათი მტკიცებით, ოპოზიციასთან აფილირებული ორგანიზაციების სიის გამოქვეყნება.

მისიის შესახებ

არჩევნების შეფასების გრძელვადიანი მცირე ზომის მისია 2021 წლის 2 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის NDI-ის მრავალკომპონენტიანი პროგრამის ნაწილი იყო. დამატებით, აგვისტოს ბოლოს NDI-ის საერთაშორისო ექსპერტების გუნდმა პოლიტიკურ პარტიებთან, მთავრობის წარმომადგენლებთან, სამოქალაქო საზოგადოებასა და მედიასთან მაღალი დონის ონლაინ შეხვედრები გამართა. შეხვედრები მიზნად ისახავდა საქართველოს დემოკრატიული განვითარების, ევროპული და ევრო-ატლანტიკური ინტეგრაციის მხარდაჭერას; ამასთან, გამოხატავდა საერთაშორისო საზოგადოების მოლოდინს, რომ საარჩევნო პროცესებში ჩართული ყველა სუბიექტი დემოკრატიული არჩევნებისა და პოლიტიკური პროცესების ყველა პრინციპს დაიცავს. არჩევნების დღის წინ NDI-იმ საქართველოში ექსპერტების გუნდი მოავლინა, რომელმაც მაღალი დონის შეხვედრები გამართა, რათა არჩევნების დღისთვის არსებული პროგრესი შეეფასებინა და არჩევნებში კონსტრუქციული ჩართულობის მნიშვნელობისთვის კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი.

###

NDI-ის საერთაშორისო საარჩევნო პროგრამა საქართველოს კანონმდებლობისა და [არჩევნებზე საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის](#) შესაბამისად განხორციელდა. NDI-ს მისი 35 წლიანი ისტორიის მანძილზე მსოფლიოს ყველა რეგიონში 250-ზე მეტი არჩევნების სადამკვირვებლო მისია აქვს განხორციელებული, მათ შორის საქართველოში 1991 წლიდან ჩატარებულ ყველა საერთო არჩევნებზე.

პროგრამა დაფინანსებულია ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ პოლიტიკური პროცესების გაძლიერების კონსორციუმის (CEPPS) ფარგლებში.